ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეთიკის კოდექსი ადგენს შპს - „თენექს“-ში (შემდგომში - „კომპანია“) ქცევის წესებს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად კომპანიის პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტისთვის, მსმენელისთვის.
2. ქცევის წესები ეყრდნობა სამ პრინციპს - სასწავლო პროცესში თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებასა და არჩევანის უფლებას, ამავე დროს მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებების დაცვა და პატივისცემა, კომპანიაში საერთო ღირებულებების მატარებელი გარემოს შექმნა.
3. სწავლება-სწავლის პროცესის მონაწილე ყველა პირი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებებით, კომპანიის სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული წესებით, ეცნობა ეთიკის კოდექსს და იზიარებს მის წესებს.
4. ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე ტერმინი „პერსონალი“ მოიცავს კომპანიასთან შრომით ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მყოფ ყველა (როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე) პირს, მათ შორის „განმახორციელებელსაც“. ტერმინი „განმახორციელებელი“ მოიცავს კომპანიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/სხვა პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართულ, განმახორციელებელ პირს (პროფესიული განათლების მასწავლებელი, პრაქტიკის მასწავლებელი, მენტორი, მოწვეული პირი, ტრენერი, ლექტორი, მოდერატორი, ფასილიტატორი, გარდა დროებით - შემდგომში წოდებული როგორც „დროებითი პერსონალი“ მოწვეული პირისა, რომელიც გულისხმობს საათობრივად ან დღიურად თანამშრომლობას).

მუხლი 2. ქცევის ზოგადი წესები

1. პერსონალმა უნდა დაიცვას კომპანიის სახელი და რეპუტაცია, როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ისე მის გარეთ.
2. პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან კომპანიის სახელით მედიასაშუალებებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული დირექტორთან ან/და ხარისხის მენეჯერთან.
3. პერსონალმა, გარდა დროებითი მოწვეულისა, თავი უნდა შეიკავოს კომპანიის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებ(ებ)ის აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი კომპანიაში მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.
4. პერსონალმა დროულად უნდა აცნობოს ადმინისტრაციას, დირექტორს შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.
5. პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აუდიტორიაში ხელის შემშლელი ქმედება, მათ შორის მობილური ტელეფონით სარგებლობა;
ბ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების, ალკოჰოლური სასმელის კომპანიის ტერიტორიაზე და მის შიგნით შემოტანა ან/და გამოყენება ან/და გავრცელება;
გ) თამბაქოს ან/და ელექტრო სიგარეტის მოწევა;
დ) აზარტული თამაში ან მისი პროპაგანდა ან/და წახალისება;
ე) კომპანიის შემოგარენის და სასწავლო გარემოს დანაგვიანება, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის განზრახ დაზიანება;
ვ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, ფეთქებადი ან/და აალებადი ნივთიერების შემოტანა ან/და გავრცელება;
ზ) სასწავლო სივრცეში პოლიტიკური, რელიგიური აგიტაცია ან/და პროპაგანდა;

თ) ნებისმიერი ქმედება რომელიც განზრახ ხელშემშლელია კომპანიაში მიმდინარე სასწავლო პროცესისა.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ქცევა

1. პერსონალმა სწავლების პროცესი უნდა წარმართოს შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად.

2. პერსონალმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ობიექტური და გამჭვირვალე შეფასება, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა.

3. განმახორციელებელი პერსონალი ითვალიწინებს ქცევის შემდეგ წესებს:

ა) არასაპატიო მიზეზით არ დააგვიანოს ან/და არ გააცდინოს ლექციები/სემინარები/პრაქტიკული მეცადინეობები/ტრენინგები/პრეზენტაციები. საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ადმინისტრაციას წერილობით შეატყობინოს ელექტრონულ ფოსტაზე მიწერით;

ბ) დაიცვას პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, კოლეგების თუ სწავლების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გამჟღავნება საქართველოს კანონმდებლობით არ მოეთხოვება;

გ) ეფექტურად, მხოლოდ სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოიყენოს სწავლებისათვის განკუთვნილი დრო და კომპანიის რესურსი;

დ) გაუფრთხილდეს კომპანიის ინვენტარს, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, დაზიანების შემთხვევაში აცნობოს ადმინისტრაციას;

ე) პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს ან კოლეგებს არ უნდა მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური, თუ სხვა სახის შეურცხყოფა. ასეთი ფაქტის შესწრების შემთხვევაში შეატყობინოს ადმინისტრაციას;

ვ) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინტერესები დაიცვას და გაითვალისწინოს თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციული ნიშნით რომელიმეს არ მიანიჭოს უპირატესობა;

ზ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანდასწრებით თავი შეიკავოს კომპანიის, კოლეგების უარყოფითად შეფასებისგან;

თ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელების /დადებითი შეფასების სანაცვლოდ არ მიიღოს საჩუქარი ან სხვა სახის სარგებელი;

ი) გაუფრთხილდეს კომპანიის რეპუტაციას;

კ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისას უზრუნველყოს პლაგიატიზმის კონტროლი.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის

1. კომპანია უზრუნველყოფს პერიოდულ მონიტორინგს (გამოკითხვის საშუალებით) ამ წესით განსაზღვრული წესების დაცვის თაობაზე.

2. კომპანია უზრუნველყოფს ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე დროულ რეაგირებას.

3. ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის აღმომჩენი პირი, დირექტორს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რომლის შედეგად დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია და იწყება საქმის შესწავლა. კომისიის შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობები.

4. საკითხის გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არის 30 კალენდარული დღე.

5. რეაგირების თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, საქმის შემსწავლელი კომისიის წერილობით დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნულის შედეგად, გამოიცემა დირექტორის ბრძანება. მასში განსაზღვრული სახდელის აღსრულებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.

მუხლი 5. პლაგიატი

1. პერსონალს, პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს ეკრძალება:

ა) სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, ვიზუალური ან/და აუდიოვიდეო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად;

ბ) ეკრძალება საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად;

გ) ეკრძალება სასწავლო პროცესში მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება (ფალსიფიკაცია).

2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი წერილობით მიმართავს ხარისხის მენეჯერს, რომელიც დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს შესაძლო დარღვევას. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, დირექტორის მიერ იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით, შესაძლებელია კომპანიის სივრციდან ან მოწვეული გარე ექსპერტი.

3. პლაგიატიზმის გამოკვლევასთან დაკავშირებული კომისია შეიმუშავებს საქმის შესწავლის პროცედურას ვადებით და შესწავლის შედეგად კონსესუსის გზით შეიმუშავებს დასკვნას.

4. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს რომელიმე პირს.

5. კომისია ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

6. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება ეთიკის კოდექსის მოთხოვნის დამრღვევ პირს (შემდგომში- დამრღვევი), ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს.

7. დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა, საპასუხო სიტყვით კომისიის წინაშე წარსდგეს. წარადგინოს მტკიცებულებები, დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, დირექტორი და კომისია იზრუნებს პირის რეპუტაციის აღდგენაზე.

8. პლაგიატის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:
ა) მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე/სწავლის პროცესზე;

დ) შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება/პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსი.

მუხლი 6. ზოგადი დებულებები

1. ეთიკის კოდექსის წესების დარღვევასა და რეაგირების საშუალებაზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება, რომლის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

2. ამ წესში ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხის მენეჯერის დასაბუთებული ინიცირების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით.